ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №87

2011 წლის 18 ივლისი

ქ. ქობულეთი

ზომამცირე მცურავი საშუალებების სარგებლობასთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში საზაფხულო სეზონის განმავლობაში საკმაოდ მომრავლებულია ზღვაზე სასეირნო სხვადასხვა მცირე ზომის მექანიკური მცურავი საშუალებები. ამასთან დღეისათვის არ არის მოწესრიგებული ასეთი მცურავი საშუალებებით სარგებლობის საკითხები, რის გამოც მათი მოუწესრიგებელი, თავაშვებული, უსისტემო მოძრაობა აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, არღვევს ზღვაში მობანავე ადამიანების მყუდროებას და არ აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას და ამ მიზნით ქალაქ ქობულეთში ჩამოსულ უამრავ სტუმარსა და ტურისტს ნორმალური, უსაფრთხო და თავისუფალი დასვენების შესაძლებლობას, რაც მთლიანობაში უარყოფითად აისახება საზღვაო ტურიზმის განვითარების საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვაო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, შიდა საზღვაო წყლებში ზომამცირე მცურავი საშუალებების სარგებლობის რეგულირების, პლაჟებსა და საბანაო ადგილებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო” ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის „დ” ქვეპუნქტისა და „წყლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

1. ზომამცირე მცურავი საშუალებების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი-კატამარანი, ნავი და სხვა, შემდგომში-მცურავი საშუალებები) მიმართ დადგინდეს შემდგომი მოთხოვნები;

ა) მცურავი საშუალებების დგომა (პარკირება) მგზავრთა აყვანის მიზნით და ასეთი საშუალებებით მგზავრის აყვანა დასაშვებია მხოლოდ ამისათვის გამოყოფილი სპეციალურ ადგილებში თანახმად დანართისა:

ბ) მცურავი საშუალებებით ზღვაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად მოწყობილი კორიდორის გავლით:

გ) მცურავი საშუალებების ზღვაში თავისუფალი მოძრაობა, გადაადგილება, სეირნობა დასაშვებია მხოლოდ ზღვის სანაპიროდან არანაკლებ 80 -100 მეტრიან (სპეციალური ნიშნების) იქით, ზღვის სიღრმეში.

2. აკრძალულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით მცურავი საშუალებებით სარგებლობა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ს.ს.ი.პ.-წყალზე სამაშველო სამსახურს ეთხოვოს:

ა) ამ განკარგულებით გათვალისწინებული მცურავი საშუალებების დგომის (პარკირების), გასასვლელი კორიდორისა და გადასაადგილებელ (სასეირნო) ტერიტორიაზე შესაბამისი თვალსაჩინო ნიშნების მოწყობა-განთავსება;

ბ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული საკითხები სწავლება, კონსულტირება, პროპაგანდა, პოპულარიზაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა;

გ) განკარგულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე სისტემატურად კონტროლის განხორციელება;

დ) ამ განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებული, მის კომპეტენციაში შემავალი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც წყალზე სამაშველო სამსახურის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეთხოვოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხზე შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების დადგენასთან დაკავშირებული ღონისძიებების დროულად გატარება.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 ივლისის №40 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ბათუმის სასამართლოში. (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**